პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 აგვისტო, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 163 (9830) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ოლიმპიური ცეცხლი აინთო!

## სეულის ოლიმპიადის გახსნამდე დარჩა 24 დღე

**ათენი, 23 აგვისტო.** ოლიმპიური ცეცხლი ტრადიციისამებრ კვლავ აინთო ძველ ოლიმპიაში, იქ, სადაც იშვა ეს უდიდესი სპორტული ასპარეზობა. წესის მიხედვით ოლიმპიური ცეცხლი მზის სხივებიდან აანთეს საგანგებო ოპტიკური მოწყობილობით ზევსის საკურთხეველზე. საზეიმო ცერემონიალის მონაწილე ქათქათა ტანსაცმელში გამოწყობილმა ქურუმმა გოგონებმა ანთებული ჩირაღდანი და ზეთისხილის რტო — მშვიდობის სიმბოლო — გადასცეს სპორტსმენს, რომელმაც დაიწყო ოლიმპიური ჩირაღდნის დიდი ესტაფეტა.

ჩირაღდანს ჩაიტანენ ათენში, იქ 25 აგვისტოს მოეწყობა მისი ცერემონიული გადაცემა სეულის დელეგაციისთვის, სადაც უნდა გაიმართოს ზაფხულის XXIV ოლიმპიური თამაშები.

ოლიმპიური ცეცხლის ანთების ცერემონიალი წლეულს უჩვეულო სადღესასწაულო ვითარებაში მოეწყო. საბერძნეთის ხელმძღვანელებს ამით სურთ დაამტკიცონ თავიანთი კანონიერი მოთხოვნა, რომ 1996 წლის საიუბილეო „ოქროს“ ოლიმპიადა სწორედ ათენში უნდა გაიმართოს.



# და კიდევ ნინო მელაშვილი

**ლენინაკანში** გაიმართა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 48-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი, რომელშიც ორი ქართველი მოჭადრაკე გამოდიოდა — ოსტატები ნინო მელაშვილი (თბილისი) და თამილა მესხი (ქუთაისი). კარგად ითამაშა მელაშვილმა, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვა და ერევნელ ოსტატ ლიუდმილა კულიკოვასთან ერთად II-III ადგილები გაიყო. კოეფიციენტთა ცხრილით II ადგილი ქართველ ოსტატს მიეკუთვნა. ტურნირში კი ფრუნზელმა საერთაშორისო ოსტატმა სვეტლანა მატვეევამ გაიმარჯვა — 9 ქულა. სწორედ ამ სამმა მოჭადრაკემ მიიღო საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება. ეს შეჯიბრება კი ოქტომბრის დამდეგს ალმა-ათაში დაიწყება. ამრიგად, სამი ნახევარფინალური ტურნირიდან (ერთ-ერთში გორელი ოსტატი ციალა ქასოშვილი მონაწილეობდა და მიზანს ვერ მიაღწია), უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება საქართველოს ორმა წარმომადგენელმა მიიღო — ქეთევან კახიანმა და ნინო მელაშვილმა.

სამწუხაროდ, სულ ცოტა დააკლდა თამილა მესხს, რომელმაც 8 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით ჩამორჩა ტურნირის პრიზიორებს.

სურათზე: ნ. მელაშვილი.



# კვლავ ამერიკელები!

ჩვენს ბეისბოლისტებს ნამდვილად სწყალობთ ბედი.

მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ახალბედისთვის ხშირი კონტაქტები გამოცდილ უცხოელ მოთამაშეებთან. სულ ახლახან იყო, თბილისის „იბერიამ“ ვაშინგტონის შტატის ქალაქ სპოკანის „სპარტანსს“ რომ უმასპინძლა, დღეს კი თბილისელები კვლავ ამერიკელებს, ახალგაზრდა ნიუჯერსელ ბეისბოლისტებს შეეგებებიან.

ამერიკელი ბეისბოლისტები ერთ კვირას დაჰყოფენ თბილისში, ერთობლივ ვარჯიშებს ჩაატარებენ საქართველოს ბეისბოლისტებთან, 27 და 29 აგვისტოს კი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდულ გუნდს შეხვდებიან. ეს თამაშები ჩატარდება „ლოკომოტივის“ სტადიონზე. დასაწყისი 18 საათზე.

საკავშირო უნივერსიადა-88

# სტუდენტი ფეხბურთელები — მეორე ადგილზე

**ვილნიუსში** დამთავრდა საკავშირო უნივერსიადის ფინალური შეხვედრები ფეხბურთში. გათამაშების ბოლო ტურში საქართველოს ფეხბურთელებმა ფრედ დაამთავრეს თამაში ყაზახეთის გუნდთან — 2:2. ლიტვისა და რსფსრ-ს მეორე გუნდის შეხვედრა დაძაბული ბრძოლის შემდეგ მასპინძელთა მარცხით დამთავრდა — 0:2, რსფსრ-ს პირველმა გუნდმა კი ანგარიშით 4:1 სძლია ლენინგრადელებს.

ლიტველთა გუნდმა, რომელიც ძირითადად ვილნიუსის „ჟალგირისის“ ოსტატებით იყო დაკომპლექტებული, ფინალში საბოლოოდ 8 ქულა დააგროვა, პირველი ადგილი და უნივერსიადის ჩემპიონობა მოიპოვა. საქართველოს გუნდმა 7 ქულით მეორე ადგილი გაინაღდა, მესამე ადგილზე გავიდა რუსეთის ფედერაციის მეორე ნაკრები — 5 ქულა.

აღსანიშნავია, რომ ფინალის მონაწილენი რესპუბლიკების ნაკრებ კოლექტივებს წარმოადგენენ, ხოლო საქართველოს გუნდი გამოდიოდა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის ფეხბურთელებით, რომლებსაც ერთი მოთამაშე ჰყავდათ დამატებული საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან. გუნდს ხელმძღვანელობდა გ. ბაქანიძე, მწვრთნელები — ე. გუგუშვილი და ო. კერესელიძე.

სურათზე: 1988 წლის საკავშირო უნივერსიადის მეორე პრიზიორი საქართველოს სტუდენტთა გუნდი.



# ტურნე იტალიაში

**რომი, 23 აგვისტო.** სსრ კავშირის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრები ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად ჩავიდა იტალიაში. პირველი თამაში შედგა ქალაქ ფოლინიოში, ადგილობრივი გუნდი საკმაოდ ძლიერი ძალაა, ზოგიერთი ფეხბურთელი უმბრიის ოლქის ნაკრებშიც შედის.

საბჭოთა ოლიმპიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. პირველი გოლი იტალიელთა კარში გაიტანა ი. სავიჩევმა, 63-ე წუთზე ანგარიში გაქვითა ვოლპიმ, ხოლო მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე საჯარიმო დარტყმა ზუსტად გამოიყენა ლოსევმა.

## ტელეტაიპი — მკითხველს

**სტარა-ზაგორა** (ბულგარეთი). ბულგარელ მძლეოსანთა შეჯიბრებაში 100 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი ანელია ნუნევამ დაიკავა — 11,01. ცვეტანკა ხრისტოვამ ყველას აჯობა ბადროს ტყორცნაში — 69 მ. 98 სმ.

**ელდორეტი** (ნიგერია). ადგილობრივ მძლეოსანთა ტურნირზე გაუმჯობესდა ერთი ეროვნული რეკორდი — პიტერ ვეკესამ 100 მეტრი 10,0-ში გაირბინა.

**ჟენევა.** ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა „ვილჰელმ ტელი“ შვეიცარიელმა ფაბიან იუჰსმა მოიგო. საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი კუიბიშეველ სერგეი უსლამინს ჰქონდა — მეოთხე ადგილი. იგი გამარჯვებულს 4 წუთითა და 08 წამით ჩამორჩა!

**პოლტავა.** აქ გაიმართა ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრება. ასაკოვან ცხენებში გამარჯვება ლიტვის გუნდმა მოიპოვა, ახალგაზრდა ცხენთა შეჯიბრებაში კი უძლიერესნი მოსკოველები იყვნენ.

**ბაუსკა** (ლატვია). ავტოკროსში საკავშირო ჩემპიონატის მეორე ეტაპმა ოქროს მედლის მფლობელი გამოავლინა. ა-5 კლასში ყველას ესტონეთის წარმომადგენელმა ეუგენ კუუზიკმა აჯობა.

**სუმი.** მშვილდოსნობაში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები ჩერნოვცელმა ტატიანა მუნტიანმა და ლვოველმა კონსტანტინე შკოლნიმ მოიპოვეს.

# პროგნოზების მიუხედავად

**ლონდონში** დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს მომავალი პირველობის პრეტენდენტთა პირველი მეოთხედფინალური მატჩი ინგლისელ დიდოსტატებს ჯონათან სპილმენსა და ნაიჯელ შორტს შორის. ამ ორთაბრძოლაში სპეციალისტები შორტს მიიჩნევდნენ ფავორიტად, მაგრამ როგორც მოვლენათა მსვლელობამ გვიჩვენა, სპილმენი სულ სხვაგვარად ფიქრობს. პირველ ორ პარტიაში დაზავების შემდეგ III პარტიაში მან უკვე მე-14 სვლაზე აიძულა თავისი მრისხანე მეტოქე დანებებოდა. სპილმენმა IV პარტიაშიც გაიმარჯვა და საკმაო სხვაობით დაწინაურდა — 3:1. მეტოქეებს კიდევ 2 პარტია დარჩათ სათამაშო.

# ვებმებით კონკურსში!

**პროფკავშირთა** სპორტსაზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭომ შეიმუშავა „ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდის“ ერთთვიური გეგმა. ვებმებით „ლელოს“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში — „მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის გაძლიერების შესახებ“ და შეჯიბრებებში ვიწვევთ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რუსთავის საქალაქო საბჭოს.

**ჯოკია კვიციანი,**
**პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.**

## წოდების მინიჭება

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**სამბოში** — რევაზ ბასილაძეს (ტყიბული, პროფკავშირები), ხვიჩა ჯანიბეგაშვილს (ახმეტა, პროფკავშირები), გოჩა ლომაძეს (თბილისი, პროფკავშირები), გიორგი ბეჟიაშვილს (საგარეჯო, პროფკავშირები), გია შახულოვს, გოჩა კუპატაძეს (ორივე — თბილისი, ასკ), გოჩა ჰიკაძეს (თელავი, „შრომითი რეზერვები“), გელა უსოიანს (თელავი, პროფკავშირები), ბესიკ ბურდულს (თბილისი, პროფკავშირები), თეიმურაზ ცქიტიშვილს (ქუთაისი, პროფკავშირები).

## სპორტი ამტკიცებს მეგობრობას

# ქართველი ალპინისტები ინსბრუკში

**სპორტს** განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილი უკავია დაძმობილებული ქალაქების ურთიერთობის განმტკიცებაში. შარშან ჩვენთან სტუმრად იყვნენ ავსტრიის „ალპური სკოლის“ ინსტრუქტორთა და მსმენელთა ჯგუფი. ეს ვიზიტი გათვალისწინებული იყო ორი დაძმობილებული ქალაქის — თბილისისა და ინსბრუკის ურთიერთობის პროგრამით.

წელს საპასუხო ვიწვევით ინსბრუკში ჩავიდა ქართველ სპორტსმენ-ალპინისტების ჯგუფი. დაგეგმილია ერთობლივი საწვრთნელი ლაშქრობები აქაურ მთიანეთში, აგრეთვე ასვლა ვილდშპიცზე, რომლის სიმაღლე 3700 მეტრს აჭარბებს და ტიროლის ყველაზე მაღალი მწვერვალია.

საბჭოთა სპორტსმენ-ალპინისტების სტუმრობას ფართოდ გამოეხმაურა ავსტრიის პრესა.



**ახალი** სასწავლო წლის მოახლოებასთან დაკავშირებით დაიწყო ტრადიციული „სასკოლო ბაზრობა“. სპორტულ მაღაზიებში და უნივერმაღების სპეციალიზებულ სექციებში უხვად იყიდება სპორტული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

ეს სურათები თბილისში სპორტულ მაღაზია „დინამოშია“ გადაღებული. აქ მიმდინარეობს სასკოლო სპორტული საქონლის გამოფენა-გაყიდვა. დახლზეა სხვადასხვა ზომისა და ასორტიმენტის სპორტული ნაწარმი. ამიტომაც აქ ამ დღეებში მუდამ ხალხმრავლობაა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



## ელვა-ინფორმაცია

**ვოლგოგრადი.** ჰაბუკთა 11 საკავშირო სპორტულ თამაშებში დამთავრდა წყალბურთელთა ასპარეზობა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და ყაზახეთის ნაკრები გუნდები. ანგარიშით 8:7 გაიმარჯვეს ყაზახმა სპორტსმენებმა. საქართველოს გუნდს ვერცხლის მედლები გადაეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელოს" საკორესპონდენტო პუნქტი გლდანის სკოლა-ინტერნატში ~~~ ახალი სასწავლო წელი კი კარს მოგვადგა

# ბოლოს და ბოლოს გადავალთ საქმეზე?

## თათბირი № 3

**მოგეხსენებათ,** ზოგიერთ სახეობაში სპორტსმენს შეუძლია ცდა გამოტოვოს, ძალა მოიკრიბოს უფრო მაღალი მიჯნის დასალაშქრავად. სამწუხაროდ, ეს, ჯერჯერობით მაინც, თათბირებს არ ეხება. როგორც ჩანს, თათბირის გამოტოვება ცუდ ტონად ითვლება. არადა, რამდენ უსარგებლო თათბირს ჯადავყოლივართ და საქმე კი განზე დაგვრჩენია...

გლდანის სკოლა-ინტერნატმა ახლახან რიგით მესამე თათბირს „უმასპინძლა". სულო ცოდვილო, რატომღაც ვიფიქრეთ, რომ ამჯერად მაინც იმაზე იქნებოდა საუბარი, რომ ამდენი და ამდენი მასალა შემოიზიდა და ესა და ეს საქმე გაკეთდაო. მაგრამ თითქმის ორსაათიანმა თათბირმა დაგვარწმუნა, რომ ამ თემას კვლავ ტაბუ ადევს. წინა თათბირთან შედარებით პრობლემების რაოდენობა არათუ არ შემცირებულა, მოგვეჩვენა, რომ გაზრდილა კიდეც. ბევრი საკითხი კვლავ ბურუსითაა მოცული. ეს ყველაზე მეტად საშენი მასალების დეფიციტს ეხება. სარემონტო საქმეს აშკარად აკლია ორგანიზატორის ხელი. როგორც ჩანს, ჩვენს გაოცებას სამშენებლო საქმეებში დილეტანტობაც უწყობდა ხელს. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ საკითხები, რომლებიც ჩვენი აზრით კარგა ხნის გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო, ჯერ კიდევ გაურკვეველია. ავიღოთ, მაგალითად, ტრანსპორტის საკითხი, რატომღაც დღემდე ვერ დადგინდა, ვინ უნდა გამოყოს იგი. სამშენებლო მასალების შემოსაზიდად სამინისტროების წარმომადგენელთა უმრავლესობა ინტერნატის დირექტორ ლევან ბოლქვაძეს სთხოვდა ამ საქმის მოგვარებას.

და არა მარტო ტრანსპორტის საკითხი...

**კომუნალური და საბინაო მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს მთავარი ინჟინერი ა. ლომიძე:**

— ზუსტად ოთხჯერ გავგზავნეთ მანქანა-აგურის მოსატანად და მხოლოდ მეოთხე ცდაზე დიდი დავიდარაბის შემდეგ ათასი (!) ცალი მოგვიტანა. ეს საქმე თუ არ მოვაგვარეთ, ძალიან გაგვიჭირდება რემონტის ბოლომდე მიყვანა.

**„საქსპორტმშენის" სამმართველოს მთავარი ინჟინერი შოთა შოთაშვილი ლევან ბოლქვაძეს მიმართავს:**

— კაფელი და მეტლახის ფილები როგორმე თქვენ თვითონ უნდა იშოვოთ, თორემ მე მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის ნაწარმზე მიმიწვდება ხელი. ქართული კაფელი და მეტლახი, მოგეხსენებათ, სისველესა და ნესტს ვერ ეგუება და მოკლე ხანში დაიშლება.



წითელი ბარათი — ბიუროკრატიზმს!

**„მთავარმონტაჟმშენის" სამმართველოს უფროსის მოადგილე ირაკლი კაკაურიძე:**

— სამშენებლო მასალების შოვნა ძალიან ჭირს. გარდა ამისა, რემონტისთვის საჭირო მასალების მოთხოვნაში, რომელიც განათლების სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებამ შეადგინა, ბევრი სამშენებლო მასალა ან არ არის შეტანილი სიაში ან გამოკლებულია. სამწუხაროდ, რაც მინისტრთა საბჭოს განკარგულებით გამოიყო, იმასაც ვერ ვიღებთ. ალბათ აჯობებს მთელი ძალები ერთ-ერთ ძირითად ობიექტზე გადავისროლოთ, თორემ ასეთი უმოქმედობა როდემდე გაგრძელდება არავინ იცის. აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ პროექტი დღემდე არ მიგვიღია.

**სახალხო განათლების საპროექტო კანტორის დირექტორი გიორგი მეზურნიშვილი:**

— პროექტები ძირითადად მაისში ჩავაბარეთ. ამ მხრივ ჩვენს მიმართ პრეტენზიები უსაფუძვლოა. მხოლოდ ერთი დაბრკოლება იყო: დაპროექტების დროს წამოიჭრა საკითხი, რომ ინტერნატის საქვაბე გაგვეუქმებინა და თბოტრასები სკოლის ტერიტორიაზე გამავალი გლდანულას დასახლების (გლდანის რაიონი) თბოქსელისთვის შეგვეერთებინა. ეს თავიდან აგვაშორებს ადგილობრივი საქვაბის ექსპლუატაციის ხარჯებს. ძველ საქვაბეს არ ვაუქმებთ, მას დავაკონსერვებთ და საჭიროების შემთხვევაში კვლავ ავამოქმედებთ. ქალაქის თბომეურნეობის სამმართველომ მხოლოდ ორიოდე კვირის წინ მოგვცა შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია და პროექტს 20 აგვისტოს ჩავაბარებთ. ინტერნატის რემონტი ამით არ ყოვნდება, რადგან თბოტრასები მხოლოდ შიდა სამუშაოების შემდეგ დაიწყება. მიზეზი ისაა, რომ თბოტრასების გაყვანას ტერიტორიის გადათხრა დასჭირდება, რაც სამშენებლო მასალების შემოზიდვას შეუშლის ხელს.

თათბირზე ერთსულოვნად აღინიშნა, რომ რემონტის დამთავრების ვადები ნაჩქარევი იყო. სამინისტროების ხელმძღვანელებისთვის თავიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი ამ დარგში არსებული პრობლემები. გარდა ამისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რემონტს აშკარად აკლია კარგი ორგანიზატორის ხელი, სხვანაირად ძნელი ასახსნელია აქამდე რატომ გაჭიანურდა საქმის მთელი ფრონტით დაწყება. უპირველესი მიზეზი ისაა, რომ თავის დროზე ბოლომდე არ ითქვა სათქმელი, სწორად ვერ შევაფასეთ საკუთარი ძალები. იმ პრობლემებზე, რომლებზეც დღეს მშენებლობის სპეციალისტები მსჯელობენ, გაცილებით ადრე უნდა დაგვეწყო საუბარი.

**ჯემალ კახრაძე.**

---

## ზაფხული-88





**ახლოვანი** მუხების გარემოცვაში, მთის ფერდობზეა გაშენებული ჩუმათელეთის (სურამის მახლობლად) მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პიონერთა ბანაკი „მშენებელი". იგი სეზონში 1500-მდე ბავშვს მასპინძლობს.

საბანაკო დღე იწყება დილის ვარჯიშით. რეგულარულად ეწყობა შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, მინიფეხბურთში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში და შაშში. პიონერები ჯერ რაზმების პირველობებს ატარებენ, შემდეგ კი საბანაკო სპარტაკიადას. ფიზკულტურის მასწავლებელმა ვეტერანმა მძლეოსანმა მიხეილ ამბოკაძემ წარმოგვიდგინა ბანაკის ჩემპიონები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. შემდეგ კი მიგვიწვია მეზობელ ბანაკ „მეგობრობის" პიონერებთან გამართულ სპორტულ შეჯიბრებაზე. ეს სურათებიც გ. ხაჩიძემ სწორედ ამ შეჯიბრებების დროს გადაიღო.

**ლია ხხილაძე.**

ხაშური.

---

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

# „გულგრილობით სოფელი ზარალდება"

**საქართველოს** კპ აბაშის რაიკომი გაცნობებთ, რომ თქვენი გაზეთის 1988 წლის 21 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში „გულგრილობით სოფელი ზარალდება" მოყვანილი ფაქტების შესახებ 1988 წლის 11 აგვისტოს იმსჯელა საქართველოს კპ აბაშის რაიკომის ბიურომ. გაზეთ „ლელოს" რედაქციის რეაგირება აღნიშნულ საკითხზე არის სწორი და ობიექტური.

რაიკომის ბიუროზე სოფელ წყემში ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის, სპორტული ობიექტების მოწყობის საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის წყემის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ჟ. თუნგიას, ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ლ. კუპრეიშვილს, ნორიოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს მ. კაჭარავას და პარტიული კომიტეტის მდივანს ა. მელაძეს მიეთითათ. მათვე დაევალათ სოფლად ფეხბურთის მოედნის მოსაწყობად ტერიტორიის შერჩევა. ამჟამად ტერიტორია შერჩეულია. სამუშაოები დამთავრდება უახლოეს დროში.

## პუბლიკაციის ქმედითობა

მუშაობაში დაშვებული ხარვეზებისათვის მკაცრად არიან გაფრთხილებულნი წყემის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი შ. ბოკუჩავა და სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი თ. მელია. სკოლის სპორტული ბაზა ამჟამად სრულ წესრიგშია.

ბიუროს დადგენილებით ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. გახოკიძეს, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორს ვ. ლიპარტიას და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს უ. მიმინოშვილს დაევალათ მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე შეიმუშაონ სოფელ წყემში მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სპეციალური პროგრამა, ჭიდაობის სასკოლო სექციის შექმნის გათვალისწინებით.

ამასთან, მოქალაქე ლერი მალაქიას ძე ჭანტურიას შესახებ მოგახსენებთ შემდეგს: 1987 წელს იგი ქ. ტყიბულიდან გადმოვიდა აბაშის რაიონის სოფელ წყემში. მიმდინარე წლის 17 მაისს მან განცხადებით მიმართა სასოფლო საბჭოს აღმასკომს და ითხოვდა სოფელში ბამბის ნაყინის საამქროს გახსნას, მაგრამ, ვინაიდან იგი არ არის ჩაწერილი აბაშის რაიონში, ამ მოტივით ეთქვა უარი. ლ. ჭანტურიას განემარტა, რომ რაიონში მისი მუდმივად ჩაწერის შემთხვევაში დაკმაყოფილდება თხოვნა კოოპერატივის გახსნის თაობაზე.

**გურამ გუნავა,**
საქართველოს კპ აბაშის რაიკომის პირველი მდივანი.

**რედაქცია** ვარაუდობს, რომ დაპირებაში ლაპარაკია სპორტულ კოოპერატივზე, რის შესახებ ჭანტურია რედაქციისაგან ითხოვდა დახმარებას.

---

# ღია წერილი გაზეთ „ლელოს" რედაქციას

**ვაშლიჯვარის** დასახლების № 11 კორპუსის მობინადრეებმა რამდენიმე წელია რაც ახალმოსახლეობა ვიზეიმეთ. მას შემდეგ აქ კიდევ ბევრი საცხოვრებელი კორპუსი აშენდა. სამწუხაროდ, მშენებლებს ვაშლიჯვარში ერთი მარტივი ტიპის სპორტული მოედანიც არ მოუწყვიათ. არა და ჩვენს ირგვლივ უამრავი ბავშვია, რომლებსაც სურთ თამაში, ორგანიზმის გაკაჟება, სპორტის სხვადასხვა სახეობის დაუფლება.

ჩვენი დასახლების რელიეფი არ იძლევა ისე იოლად სპორტული მოედნის მოწყობის საშუალებას. ამიტომ წლების მანძილზე ვიბრძოდით იმისათვის, რომ კორპუსების წინ მდებარე ხევი ამოევსოთ სხვადასხვა მშენებლობიდან მოტანილი ნაყარი მიწით. როგორც იქნა მივაღწიეთ მიზანს. ახლა აქ დასახლების ბავშვებისთვის თავისუფლად შეიძლება სპორტული მოედნის გაშენება.

გამოჩნდნენ ამ სასარგებლო და საჭირო საქმის მოთავეები. ჩვენ, მობინადრეები მზადა ვართ მხარში ამოვუდგეთ მშენებლებს ფიზიკური შრომით და თუ საჭირო გახდა მატერიალურადაც, ოღონდ რაიმე ეშველოთ მოზარდებს. მაგრამ... ამბობენ, რომ მავანი და მავანი მოსწორებული ტერიტორიის ხელში ჩაგდებას ცდილობს და იქ კოოპერატიული ავტოსადგომის მოწყობა უნდათო. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ ხმების არ გვჯერა და დარწმუნებული ვართ, რომ შესაბამისი ორგანიზაციები ამ საშვილიშვილო საქმის კეთილად დაგვირგვინებაში დახმარებას აღმოგვიჩენენ.

**ვაშლიჯვარის დასახლების № 11 კორპუსის მობინადრეთა სახელით: ზ. დოლიძე, მ. ჯულაყიძე, ა. ერისთავი, თ. ჩაჩუა, ა. ლომიძე, ზ. ბოცირიძე** და სხვები.

---

## როგორ ვისვენებთ?

# ორი დღე სიონზე

**თბილისის** საბინაო მეურნეობის სამმართველომ (უფროსი თეიმურაზ მეგრელაძე) სიონის წყალსაცავის შემოგარენში (თიანეთის რაიონში) ჩაატარა ჯანმრთელობის VI საქალაქო სპარტაკიადის დებულებით გათვალისწინებული საქალაქო შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის 9 საბინაო საექსპლოატაციო ტრესტის 76 მუშაკმა.

შეჯიბრების პროგრამაში იყო კარვის გაშლა და კოცონის დანთება, ტურისტული ესტაფეტა, ბაგირის გადაძალვა.

საპრიზო ადგილები გუნდებს შორის ასე განაწილდა: 1. ორჯონიკიძის, 2. კალინინის, 3. კიროვის რაიონი.

**ლევან ყურაშვილი,**
**სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი.**

---

## მკითხველი — გაზეთი

ძვირფასო რედაქცია!

**გავიგე, რომ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის" ფიზკულტურულმა კომპლექსმა კიდევ ერთი ცვლილება განიცადა. მოკლედ ხომ არ გვეტყოდით რა ცვლილებები მოხდა კომპლექსში და როდის იწყება ნორმატივების ჩაბარება?**

**თემურ ვარსამიშვილი,**
თბილისი.

**პასუხი:** „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის" (მშდ) ფიზკულტურული კომპლექსი 55 წლის მანძილზე ბევრჯერ შეიცვალა დროის მოთხოვნების შესაბამისად. ამიერიდან იგი იყოფა ორ ნაწილად — იმშდ და მშდ. „იყავ მზად შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის (იმშდ) გათვალისწინებულია I-VIII კლასის მოსწავლეებისთვის; ხოლო მშდ IX-XI კლასების, პროფტექნიკური, საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სტუდენტებისა და 27 წლამდე ახალგაზრდობისათვის. შემოღებულია აგრეთვე მშდ მრავალჭიდი, რომელსაც სურვილის მიხედვით აბარებენ 10-60 წლის ასაკის ადამიანები.

კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება იწყება 1989 წლის იანვრიდან, მაგრამ ზოგან სურვილისამებრ კომპლექსის დანერგვას მიმდინარე წლის სექტემბრიდანაც დაიწყებენ.

# დღეს მეტად მნიშვნელოვანი მატჩია!

**უმაღლესი** ლიგის გუნდების თითოეული თამაში თავისთავად საგანგებო მოვლენაა, მაგრამ არის გამორჩეული შემთხვევები, როცა თამაშის უშუალო შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხოლმე.

ასეთად ჩვენ თბილისის „დინამოს" დღევანდელი მატჩი მიგვაჩნია ბაქოს „ნეფთჩისთან". თბილისის „დინამოს" გათამაშების ცხრილში ახლა მე-14 ადგილი უკავია და 14 ქულა აქვს, ბაქოს „ნეფთჩი" კი 12 ქულით მე-15 ადგილზე იმყოფება. მართალია, თბილისელებს მარაგში ერთი გამოტოვებული თამაში აქვთ დარჩენილი კიევის „დინამოსთან", მაგრამ სატურნირო ცხრილს თავისი კონიუნქტურული კანონები აქვს და მათ აუცილებლად უნდა გავუწიოთ ანგარიში. თბილისელები 2 ქულით უსწრებენ „ნეფთჩის", მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში 4 ქულით დაწინაურდებიან, ეს კი საგრძნობი განსხვავებაა აუტსაიდერთა ჯგუფში მყოფი გუნდებისთვის, სადაც თითოეულ ქულას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ვიმეორებთ, დღევანდელი შეხვედრა საინტერესო, საგანგებო მნიშვნელობისაა. ჩვენ, გულშემატკივრებმა, კარგად ვიცით, რომ ბაქოს „ნეფთჩი", მიუხედავად წლევანდელ სეზონში წარუმატებლობისა, მეტად ბრძოლისუნარიანი, პრინციპული და ნებისყოფიანი კოლექტივია, თბილისის „დინამომ" კი ჩემპიონატის ბოლო მატჩებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და საგრძნობლად გააუმჯობესა თამაშის ხარისხი. ამიტომაც ასეთი ინტერესით და გულისყურით მოველით ძველ მეტოქეთა ამ პრინციპულ შეხვედრას. აქ ბევრი რამ წყდება.

„დინამოს" ერთგული გულშემატკივრები დღესაც ენერგიულად დაუჭერენ მხარს საყვარელ გუნდს.

# დინამოელებს ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ

ძვირფასო დინამოელებო!

სიმართლე გითხრათ, არ გვჯეროდა, რომ გასვლით მატჩებში, რომლებიც სულ ახლახან ჩაატარეთ, ასე თავგამოდებით იბრძოლებდით. ასე, ალბათ, ბევრი სხვაც ფიქრობდა. ბარაქალა თქვენ, რომ მოინდომეთ და გაგვახარეთ. იმედი გვაქვს შინ და სტუმრად ამიერიდან უფრო მტკიცე რწმენით ითამაშებთ. ძალიან გვინდა 24 ივლისის შინ ჩატარებული მატჩითაც გაგვახაროთ.

**თქვენი ერთგული გულშემატკივრები**

**ვ. კენჭაძე,**
**ე. მენაბდე,**
დიასახლისები.

თბილისი.

**თბილისის** „დინამოს" ახლა სათავეში უდგანან წარსულის ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები, ისინი სწორედ ამ კოლექტივში აღიზარდნენ და საკუთარ გუნდში ხელმძღვანელად დაბრუნება ყველას ბევრს ავალებს. გვჯერა, რომ დ. ყიფიანი, მ. ხურცილავა და ვ. გუცაევი „დინამოს" დაუბრუნებენ საამაყო სახელს, ისინი აღზრდიან ისეთ ფეხბურთელებს, როგორნიც თავად იყვნენ. და კიდევ ერთი თხოვნა „დინამოს" ხელმძღვანელებისადმი — ყველა მატჩში თქვენმა შეგირდებმა ითამაშონ ისე, როგორც თქვენ თამაშობდით საუკეთესო წლებში.

**გულშემატკივართა სახელით.**

**ო. ბარუჩავა.**

ცხაკაია.

**ახლა** სავალდებულო სამხედრო სამსახურს გავდივარ მოსკოვის ოლქში. თქვენს მიერ ყოველი წაგებული მატჩი გულს მტკენს, ჯარისკაცები კი მეუბნებიან რა მოსდის შენს „დინამოსო". ალბათ, ჩემნაირად სხვადასხვა სამხედრო ნაწილებიდან ბევრი თანამემამულე შემოგყურებთ. „დინამოს" ახალმა ხელმძღვანელობამ ბოლო მატჩებში დაამტკიცა, რომ გუნდს შეუძლია თამაში. წინდაწინ მინდა მოგილოცოთ ახალი გამარჯვებები.

**მ. კაკუშაძე,**
**ჯარისკაცი.**

მოსკოვის ოლქი.

## ინტერვიუ ოლიმპიელთან

# გელა კეტაშვილი: „ფეხბურთი სიხარულიცაა და ტკივილიც"

**დიდი დრო აღარ დარჩა სეულის ოლიმპიურ თამაშებამდე, ახლა ამ შეჯიბრებისკენაა მიმართული სპორტის მოყვარულთა, სპეციალისტთა და რა თქმა უნდა, სპორტსმენთა ყურადღება. მსოფლიო სპორტის ამ დიდი ფორუმისთვის ემზადებიან ჩვენი ოლიმპიელებიც, მათ შორის თბილისის „დინამოს" 23 წლის მცველი გელა კეტაშვილი, რომელთანაც ინტერვიუს დღეს გთავაზობთ.**

**● უპირველესად, გვინდა მოგილოცოთ სეულის ოლიმპიადის საგზური და გკითხოთ, რა ღირებულება აქვს ამ ასპარეზობას თქვენთვის?**

— ოლიმპიურ თამაშებში პირველად გამოვალ და ეს უკვე ბევრს ნიშნავს. იყო საშიშროება, რომ ოლიმპიადაზე ვერ წავიდოდი: 4 მაისს დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან" თამაშის დროს ტრავმა მივიღე. საბედნიეროდ, ოპერაციას გადავურჩი. ახლა მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ.

**● ქვეყნის პირველმა ნაკრებმა უკვე გაგვახარა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლებით. რამდენად ჩამორჩება ამ გუნდს თამაშის კლასით ოლიმპიური ნაკრები?**

— ყველამ კარგად ვნახეთ, როგორ ბრწყინვალედ ითამაშა ევროპის ჩემპიონატში ოლიმპიური ნაკრების წევრმა მიხაილიჩენკომ. მასთან ერთად პირველ გუნდში მიწვეული იყო დობროვოლსკი, რომელმაც, სამწუხაროდ, ტრავმა მიიღო და ვერ შეძლო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოსვლა. ძლიერია, აგრეთვე, „ჩვენი" მეკარე ხარინიც... მოკლედ, აშკარა განსხვავება ამ გუნდების კლასში, ჩემი აზრით, არ შეიმჩნევა.

**● ალბათ, ასაკსაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა. ოლიმპიური ნაკრები შედარებით ახალგაზრდულია, ძირითად ნაკრებში კი უფრო გამოცდილი, ბევრისმხილველი ფეხბურთელები არიან...**

— რა თქმა უნდა, პირველი ნაკრების საშუალო ასაკი ოცდარვა წელია, ოლიმპიურისა — ოცდაერთიოცდაორი. საერთოდ, ოლიმპიური ნაკრები ძირითადი ნაკრების საბაზო გუნდია.

**● რამდენი დრო დაგჭირდებათ, ოლიმპიური ნაკრებიდან ძირითად ნაკრებში რომ მოხვდეთ?**

— ამ დროს, ალბათ, ვერ განსაზღვრავ. ამისათვის საჭიროა თავდაუზოგავი ვარჯიში, უფრო მეტი ფიზიკური დატვირთვა და ფეხბურთის ფანატიკური სიყვარული.

**● ახლა, ცოტა ხნით ჩვენს „დინამოს" დავუბრუნდეთ. ზოგი ამბობს, რომ თბილისის „დინამო", ასე ვთქვათ, „ზარმაცი" გუნდია, ფიზიკურ მომზადებას სათანადო ყურადღებას არ აქცევს... მინდა გკითხოთ, როგორ ემზადებით ოლიმპიურ ნაკრებში და როგორ — თბილისის „დინამოში"?**

— ნაკრების წევრები უფრო იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს და, ბუნებრივია, ვცდილობთ შეკრებებზე დრო და შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოვიყენოთ. თან ნაკრები, ასე თუ ისე, რჩეული მოთამაშეების ნაკრებია და არ გვიჭირს ფიზიკური დატვირთვის დაძლევა. „დინამოში" ცოტა სხვანაირად არის საქმე. ზოგ შემთხვევაში ძალიან დიდი განსხვავებაა ჩვენი გუნდის ცალკეული მოთამაშეებისა და ნაკრების წევრთა ფიზიკური მომზადების ხარისხში, ისე კი, დავით ყიფიანის გუნდში მოსვლის შემდეგ შეიცვალა დატვირთვა, ამასთან ვარჯიში უფრო შინაარსიანი გახდა.

**● აქვს თუ არა მნიშვნელობა თქვენთვის რომელ გუნდში თამაშობთ?**

— ნაკრებში თამაში შედარებით უფრო იოლია, მით უმეტეს, რომ მესამე წელიწადია ოლიმპიურ ნაკრებში გამოვდივარ და, რომ იტყვიან, შეთამაშებული ვართ ერთმანეთთან. „დინამოს" შემადგენლობა კი ამ ბოლო წლების მანძილზე ხშირად იცვლება. თან ეს ხანგრძლივი კრიზისი...

**● გამარჯვების სიხარულზე რას იტყვით?**

— გამარჯვებას ყველგან თან სდევს სიხარული და რწმენა. „დინამო" როცა ასეთ კრიზისულ მდგომარეობაშია, გამარჯვებას უფრო მეტი ფასი აქვს.

**● წაგებას?..**

— საერთოდ, ყველა თამაშის შემდეგ ღამეს, მიუხედავად იმისა, წავაგეთ თუ მოვიგეთ, თითქმის თეთრად ვათენებ. ერთ შემთხვევაში მარცხით გამოწვეული ტკივილი არ მაძლევს ძილის საშუალებას და მეორე დღეს ქუჩაში გასვლაც მესიკვდილება. მოგება კი იმდენად სანატრელი გაგვიხდა, გახარებულს როგორ დამათენდება თავზე, ვერ ვიგებ.

**● თუ შეგიძლიათ დაასახელოთ თქვენი სპორტული ცხოვრების ორი განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი დღე, ოღონდ სასიხარულოც და სამწუხაროც.**



— როგორ არა. ყველაზე მწარე მოგონებად დამრჩა ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის ფინალი. შეხვედრის დასაწყისში ტრავმა მივიღე და ველარ გავაგრძელე თამაში. ყველაზე დიდი სიხარული 1987 წლის 2 იანვარს მქონდა. მაპატიეთ, თუ ეს დღე ჩემს სპორტულ ცხოვრებას არ უკავშირდება. ამ დღეს შემეძინა ვაჟიშვილი — გიორგი.

არასდროს დამავიწყდება ის დღე, როდესაც პირველად ჩავიცვი „დინამოს" მაისური. სსრ კავშირის თასზე კიევში ვხვდებოდით არმიის სპორტულ კლუბს. ჩემი დებიუტი გოლით აღვნიშნე. შეხვედრა 2:0 მოვიგეთ. მეორე გოლი რამაზ შენგელიამ გაიტანა.

**● თქვენი საყვარელი ფეხბურთელები?**

— დავით ყიფიანი და ერიკ გერეტსი.

**● თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— სიმართლე რომ გითხრათ, თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მრჩება და მირჩევნია ისევ ჩემს ოჯახთან და მეგობრების წრეში გავატარო. ვკითხულობ პრესას, რომელიც ამ ბოლო დროს მეტად საინტერესო გახდა, ვუსმენ მუსიკას, ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა პატარა გიორგისთან გართობა.

**● რით გაახარებს მამიკო პატარა გიორგის, რას ჩამოუტანს სეულიდან საჩუქრად?**

— ყოველ შემთხვევაში, ხეზე სამჯერ დავაკაკუნოთ. დარწმუნებული ვარ სეულიდან მხოლოდ ოქროს მედლებით ჩამოვალთ. როგორც არასდროს, ისე ვოცნებობ ოლიმპიურ ჩემპიონობაზე.

**ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი.**

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

### დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** თბილისის „დინამოს" სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი, ადგილობრივმა „დინამომ" ბაქოს „ნეფთჩის" უმასპინძლა.

თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

თბილისის „დინამოს" შემადგენლობა: ჭანტურია, თეთრაძე, აფციაური, მაჭავარიანი, თევზაძე, ხუროძე (ჩუბინიძე), გ. ჯიშკარიანი, ქეცბაია (ჯამარაული), მ. ჯიშკარიანი (კაბისაშვილი), გურული (პეტრიაშვილი), ყაველაშვილი.

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

20 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XX ტურის მატჩები. გთავაზობთ ამ შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

**„სპარტაკი" — „დნეპრი" 2:2 (0:0).** ლიდერთა ამ მატჩში სპარტაკელები ორჯერ დაწინაურდნენ (ჩერენკოვი, როდიონოვი), დნეპროპეტროვსკელებმა კი ორჯერვე შეძლეს ანგარიშის გაქვითვა (შახოვი, ლუტი).

გააფრთხილეს „დნეპრის" ფეხბურთელები სონი და შახი.

დუბლიორები — 0:1.

**„ჩერნომორეცი" — „შახტიორი" 1:1 (0:1).** გოლები: კობოზევი („შახტიორი"), ტრეტიაკი („ჩერნომორეცი").

გააფრთხილეს დონეცკელი ფეხბურთელები იაშჩენკო და სოპკო.

დუბლიორები — 1:2.

**„ჟალგირისი" — „ლოკომოტივი" 1:2 (1:1).** მე-5 წუთზე დაწინაურდა „ჟალგირისი" (პანკრატიევი). საპასუხო ბურთი პირველ ტაიმშივე გაიტანა დოზმოროვმა, შესვენების შემდეგ კი რუსიაევმა დააწინაურა „ლოკომოტივი".

გააფრთხილეს ატაულინი, ბაზულევი („ლოკომოტივი").

დუბლიორები — 0:0.

**„ტორპედო" — „კაირატი" 2:0 (1:0).** გოლები: გრეჩნევი, გიცელოვი.

გააფრთხილეს ალმაათელი ფეხბურთელები ივანოვი, ტიმოფეევი და კისტერი. მინდვრიდან გააძევეს ამავე გუნდის წევრი ნაიდენოვსკი.

დუბლიორები — 1:0.

**„ნეფთჩი" — „არარატი" 1:1 (1:1).** ერევნელი ენგიბარიანის მიერ მე-11 წუთზე გატანილი ბურთი 43-ე წუთზე გაქვითა აჰმედოვმა.

**„ზენიტი" — „დინამო" (მინსკი) 0:0.**

გააფრთხილეს მინსკელი ფეხბურთელები დერკაჩი და იანუშევსკი.

დუბლიორები — 1:1.

**„მეტალისტი" — „დინამო" (კიევი) 1:1 (1:1).** პირველი ბურთი გაიტანა ხარკოველმა დერკაჩმა, ხოლო საპასუხო — ლიტოვჩენკომ.

დუბლიორები — 0:1.

**● „ჟალგირისისა"** და „ლოკომოტივის" მატჩში მოხდა ის, რაც იშვიათად ხდება ჩვენს ფეხბურთში: არბიტრმა მ. სტუპარმა (ივანო-ფრანკოვსკი) გააფრთხილა ლოკომოტიველი ფეხბურთელები ატაულინი და ბაზულევი. მაგრამ ამ მატჩში ერთობ უდისციპლინოდ იქცეოდა და მსაჯს გაუთავებლად ეკამათებოდა „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი ი. სიომინი. ამის გამო მ. სტუპარმა იგი მინდვრიდან გააძევა და ტრიბუნაზე მიუჩინა ადგილი.

**● მიმომხილველები** აღნიშნავენ, რომ მოსკოვის „სპარტაკისა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" არბიტრმა რ. იუშკამ (ვილნიუსი) თავი ვერ გაართვა მსაჯობას. იგრძნობოდა, რომ იგი რიგიანად არ მოემზადა თამაშის მაღალ დონეზე ჩასატარებლად და მნიშვნელოვან შეცდომებს უშვებდა. კერძოდ, მან ყვითელი ბარათი აჩვენა დნეპროპეტროვსკელ ე. სონს, მაშინ, როცა წესი პირველად დაარღვია „სპარტაკის" ფეხბურთელმა ვ. პოზდნიაკოვმა. შემდეგ „დნეპრის" მეკარემ ვ. გოროდოვმა უხეშად წააქცია აშკარად საგოლე მდგომარეობაში მყოფი ს. როდიონოვი, მაგრამ წესის დარღვევა ამ უკანასკნელს ჩაეთვალა. ეს ინციდენტი მოხდა მაშინ, როცა „სპარტაკი" წინ იყო ანგარიშით 2:1.

**● XX ტურის** 7 მატჩში სულ 15 ბურთია გატანილი, რომელთაგან 8 მასპინძელთა და 7 სტუმართა ანგარიშზე მოდის.

**● განვლილ** ტურში 5 მატჩი დამთავრდა ფრედ და ეს წლევანდელი ჩემპიონატის რეკორდად ითვლება, გარდა ამისა, ერთი მატჩი მოიგეს მასპინძლებმა, ერთიც — სტუმრებმა. 3 მატჩში აღინიშნა ანგარიში 1:1.

**● „კაირატის"** ფეხბურთელი ნაიდენოვსკი ოდესელმა არბიტრმა ვ. ლისენკომ მინდვრიდან გააძევა, ეს უკვე მერვე გაძევებაა წლევანდელ ჩემპიონატში.

**● დნეპროპეტროვსკის** „დნეპრი" პირველი გუნდია უმაღლეს ლიგაში, რომელმაც წლევანდელ ჩემპიონატში ამოწურა ფრეთა ლიმიტი.

**● გატანილი** ბურთების რაოდენობით ლიდერობენ „დნეპრი" და „ზენიტი", რომელთა ფეხბურთელებს 29-29 ბურთი აქვთ გატანილი. ყველაზე ნაკლები ბურთი საკუთარ კარში მიიღო კიევის „დინამომ" — 9.

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობანი

**მდგომარეობა 24 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" მ. | 21 | 14 | 4 | 3 | 34-13 | 32 |
| „სპარტაკი" | 20 | 10 | 6 | 4 | 38-24 | 26 |
| „ტორპედო" | 19 | 11 | 3 | 5 | 29-22 | 25 |
| „დინამო" კ. | 17 | 10 | 4 | 3 | 26-15 | 24 |
| „ჩერნომორ." | 20 | 8 | 6 | 6 | 22-19 | 22 |
| „ჟალგირ." | 20 | 7 | 8 | 5 | 30-14 | 22 |
| „დნეპრი" | 21 | 8 | 5 | 8 | 26-29 | 21 |
| „დინ." თბ. | 19 | 7 | 7 | 5 | 25-25 | 21 |
| „ლოკომ." | 18 | 7 | 5 | 6 | 24-19 | 19 |
| „ზენიტი" | 20 | 7 | 4 | 9 | 22-30 | 18 |
| „მეტალის." | 21 | 6 | 6 | 9 | 25-24 | 18 |
| „არარატი" | 17 | 5 | 4 | 8 | 26-32 | 14 |
| „შახტიორი" | 19 | 4 | 4 | 11 | 21-35 | 12 |
| „ნეფთჩი" | 17 | 3 | 6 | 8 | 11-22 | 12 |
| „კაირატი" | 20 | 3 | 5 | 12 | 17-37 | 11 |
| „დინ." მნ. | 19 | 3 | 5 | 11 | 19-35 | 11 |

# გამარჯვებით დაიწყეს

**ესტონეთის** ქალაქ კოხტლაიარვეში დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა „იმედის თასის" საკავშირო გათამაშების ნახევარფინალური ზონალური ტურნირი. ამ ზონაში გამოდიან ესტონეთის, საქართველოს, ბელორუსიის, თურქმენეთის, მოლდავეთისა და „შრომითი რეზერვების" ნაკრები გუნდები. საქართველოს გუნდის უფროსი მწვრთნელია ლ. ვერულიძე, მას ეხმარებიან ნ. ამირეჯიბი და რ. გაგუა.

გათამაშების პირველ ტურში საქართველოს გუნდი შეხვდა მასპინძლებს — ესტონელებს და გაიმარჯვა ანგარიშით 5:0 (პირველი ტაიმი 4:0). ბურთები გაიტანეს ტულუშმა, ბერიშვილმა, ხურცილავამ (2) და ნემსაძემ. მოლდაველებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს „შრომითი რეზერვები", ხოლო ბელორუსელმა ფეხბურთელებმა — თურქმენეთის ნაკრები — 2:1.

ტურნირში პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებენ.

### 25 აგვისტოს „ლოკომოტივის" სტადიონზე

**25 აგვისტოს** თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება საქართველოს თასის ნახევარფინალური მატჩები. 14 საათსა და 30 წუთზე ერთმანეთს შეხვდებიან ზესტაფონის „მადნეული" და რუსთავის „მეტალისტი", ხოლო 17 საათზე — წყალტუბოს „შადრევანი" და ზუგდიდის „დინამო".

ფინალური მატჩიც ამავე სტადიონზე 31 აგვისტოს 17 საათზე გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატს ისევ დავუბრუნდებით

**კიდევ** ერთხელ ვუბრუნდებით მოჭადრაკე ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატს, და ვუბრუნდებით არა უკანასკნელად. როგორც იცით, პირველობაზე უძლიერესი ვერ გამოვლინდა და აი, მსაჯთა მთავარი კოლეგიის გადაწყვეტილებით დამატებითი მატჩის პირველი პარტია გუშინწინ უნდა გამართულიყო, თეთრი ფიგურებით მსოფლიოს ექსჩემპიონს ანატოლი კარპოვს უნდა ეთამაშა. მაგრამ იმ საღამოს, მოსკოვის საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრში ჭადრაკის მაგიდის ნაცვლად ერთი გრძელი მაგიდა და ტრიბუნა იდგა — დამატებით მატჩთან დაკავშირებით ორგანიზატორებმა პრეს-კონფერენცია მოაწყვეს. აქვე გამოცხადდა, რომ საკითხი კასპაროვ-კარპოვს შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონის გამოსავლენი დამატებითი მატჩის ჩატარების შესახებ გადაწყდება უახლოეს ხანში სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე.

საქმე ისაა, რომ კასპაროვსა და კარპოვს, რომლებმაც 11,5-11,5 ქულა მოაგროვეს და საკავშირო ჩემპიონატში I-II ადგილები გაიყვეს, ჩემპიონატის დებულების მიხედვით დამატებითი მატჩი უნდა ეთამაშათ. მაგრამ მეტოქეებს ამის თაობაზე სხვადასხვა აზრი შეექმნათ. საკავშირო ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის ბიურომ კი 22 აგვისტოს სხდომაზე ვერ შეძლო რაიმე გადაწყვეტილების მიღება.

# ოლიმპიური მოზაიკა

● **კანადელები** ოლიმპიადაზე იმედებს უმთავრესად ინდივიდუალურ სახეობებს უკავშირებენ. გუნდურ შეჯიბრებებში კი ამ ქვეყნის სპორტსმენთა პერსპექტივები ერთობ პრობლემატურია, ვინაიდან კანადა სეულში სულ სამ გუნდს ჩაიყვანს — კალათბურთელ ვაჟთა და ბალახის ჰოკეისტ ქალ-ვაჟთა კოლექტივს. დანარჩენ სახეობებში მონაწილეობის უფლება კანადელებმა შესარჩევ ტურნირებში დაკარგეს. ასე მაგალითად, ფეხბურთელები დამარცხდნენ აშშ-სთან — 0:1, წყალბურთელები — ჩინეთთან — 3:4, ყველაზე დიდი მოულოდნელობა კი კალათბურთელ ქალთა გუნდის წარუმატებლობა გახლდათ, რომელიც ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა.

● **ლოს-ანჯელესის** ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი დასავლეთგერმანელი ძალოსანი კარლ-ჰაინც რადჩინსკი რამდენიმე ხნის წინ ანაბოლური საშუალებებით ვაჭრობაში ამხილეს და მას სასამართლომ 35 ათასი მარკით (19 ათასი დოლარი) ჯარიმა და ორი წლით პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. სასჯელის ვადა გავიდა და გფრ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა იგი სეულის თამაშების განაცხადში შეიტანა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და დასავლეთგერმანელები იძულებული გახდნენ დამნაშავე ისევ გაერიცხათ გუნდიდან. საბოლოო გადაწყვეტილება ასეთია: რადჩინსკი ოლიმპიურ თამაშებში აღარ გამოვა.

● **უნგრეთის** ოლიმპიურმა კომიტეტმა დაამტკიცა სეულში გასაგზავნი დელეგაციის შემადგენლობა. ოლიმპიურ თამაშებში ამ ქვეყნის 200 სპორტსმენი გამოვა. ისინი იასპარეზებენ სპორტის 19 სახეობაში. დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშნულია სახელმწიფო მდივანი, ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა სახელმწიფო სამმართველოს თავმჯდომარე გაბორ დეაკი. უნგრელები ოლიმპიადის არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ ათეულში ადგილის დაკავებას ვარაუდობენ.

● **ამერიკელი** ჩოგბურთელის ლორი მაკნეილის შესახებ პირველად 1987 წელს ალაპარაკდნენ, როცა ამ ყველასათვის უცნობმა სპორტსმენმა აშშ-ს ღია ჩემპიონატში კრის ევერტი დაამარცხა. ახლა მაკნეილი ჩოგბურთელთა ოლიმპიური გუნდის კანდიდატად ითვლება. მიმდინარე წელს ნიჭიერმა სპორტსმენმა სპეციალური პრიზი მიიღო „სწრაფი პროგრესისათვის" (მსოფლიო კლასიფიკაციაში, 131-ე ადგილიდან მე-11 ადგილზე გადაინაცვლა).

## ჯონსი გადადგა

**სახელგანთქმული** „ბოსტონ სელტიქსის" უფროსი მწვრთნელი კეის ჯონსი, რომელიც ბოლო წლებში უცვლელად ხელმძღვანელობდა ნბა-ს, ამ ყველაზე ტიტულოვან გუნდს, უცხოური პრესის ცნობით, დატოვებს თავის პოსტს. ვარაუდობენ, რომ ჯონსს შეცვლის მისი ასისტენტი ჯიმ როჯერსი.

# სულ ცოტა დააკლდა...

**ბარნაულში** დამთავრდა სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა მომავალი, 56-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. როგორც იცით, შეჯიბრებას I ლიგის 6 მონაწილე უნდა დაესახელებინა. სამწუხაროდ, საქართველოს 3 მოჭადრაკიდან ვერც ერთმა ვერ მოიპოვა ეს უფლება. გენადი ზაიჩიკმა და თამაზ ტაბატაძემ სუსტად იასპარეზეს (შესაბამისად 4 და 2,5 ქულა მოაგროვეს), ხოლო გია გიორგაძეს სულ რაღაც ნახევარი ქულა დააკლდა მიზნის მისაღწევად. მან 9 შესაძლებლიდან 5,5 ქულა მოაგროვა და ტიმოშჩენკოსთან ერთად VII-VIII ადგილები გაიყო. უკეთესი კოეფიციენტის გამო გიორგაძეს VII ადგილი მიეკუთვნა. I ლიგის საგზურები წილად ხვდათ იურტაევს, დრეევს, ხოლმოვს, ასეევს, დვოირისს და სავჩენკოს, რომლებმაც 6-6 ქულა მოაგროვეს.

# „სიჭაბუკის თასზე"

**უკრაინის** ქალაქ ტერნოპოლში დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ფინალური გათამაშება „სიჭაბუკის თასზე".

როგორც გაუწყეთ, საქართველოს ნაკრებმა გუნდმა სამტრედიაში გამართულ ზონალურ ტურნირში მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება. ჩვენს ფეხბურთელებთან ერთად ფინალში ასპარეზობდნენ უკრაინის, ლიტვის, ბელორუსიის, რსფსრ-ის და თურქმენეთის ნაკრები გუნდები.

დაუმარცხებლად ჩაატარეს მთელი ტურნირი უკრაინელმა ფეხბურთელებმა, მათ ყველა შეხვედრაში გაიმარჯვეს და საპატიო პრიზს დაეპატრონენ. მეორე ადგილზე ლიტვის, ხოლო მესამეზე ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელები გავიდნენ. აღსანიშნავია ჩვენი მეკარის თ. ჩლაიძის საიმედო თამაში. შეჯიბრებისათვის გუნდი მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. გეგეჭკორმა და ე. დოლიძემ.

# ბრალდება მოუხსნეს

**გენტი** (ბელგია). აქ დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტის არაოლიმპიურ სახეობაში. შეჯიბრებას წინ უსწრებდა სამოყვარულო ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის სხდომა, რომელმაც განიხილა ფრანგ ჟანი ლონგოს საკითხი. შარშან ამ სპორტსმენმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ერთსაათიან რბოლაში (44 კმ 933 მ), მაგრამ მას ბრალად დასდეს დოპინგის მიღება. ახლა ფედერაციამ დაწვრილებით შეამოწმა ლონგოს წინააღმდეგ წარდგენილი ყველა საბუთი და „დამნაშავეს" ბრალდება მოუხსნა.

თვით ჩემპიონატის მონაწილეთა შემადგენლობა არც ისე ძლიერია, ვინაიდან ბევრმა წამყვანმა ველოსიპედისტმა ოლიმპიური სამზადისის გამო უარი თქვა გენტში გამოსვლაზე. სწორედ ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ ჩემპიონატის პირველი დღის სტარტებს მხოლოდ 250 მაყურებელი დაესწრო.

ასპარეზობის მონაწილეთა შორის ყველაზე ტიტულოვანი ველოსიპედისტია ჟანი ლონგო, რომელმაც 3 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში საუკეთესო შედეგი აჩვენა — 3.47,66.

საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობენ მხოლოდ ერთ სახეობაში — ქალთა საგზატკეცილო გუნდურ რბოლაში 50 კილომეტრზე. ერთი წლის წინათ ავსტრიაში ჩვენმა გუნდმა ჩემპიონის ოქროს მედლები დაიმსახურა, ასე რომ, ამჯერად მას უმაღლესი ტიტულის დაცვა მოუხდება.

# მოკრივე ღვთისმსახური

**კრივი** და ღვთისმსახურება შორიშორსაა ერთმანეთისგან, მაგრამ ინგლისის საეკლესიო საბუთებში გვხვდება ერთი ჩანაწერი, სადაც აღნუსხულია საყდარში მომხდარი ყალილა, რომლის დროსაც ნოტინგემის ტაძრის მღვდელი იძულებული გახდა მოკრივესავით გარჯილიყო. ეს პიროვნება გახლდათ წარსულში ცნობილი ინგლისელი მოკრივე უილიამ ტომსონი, რომელიც რინგზე ბენდიგოს სახელით გამოდიოდა.

მუშტი-კრივის ხანაში უილიამ ტომსონმა სახელი გაითქვა როგორც უძლიერესმა მოკრივემ. იგი გამოირჩეოდა ილეთების დიდი გამომგონებლობის უნარითა და მძაფრი ტემპერამენტით. ინგლისში ერთხანს კანონით აიკრძალა კრივი, მაგრამ ბენდიგო მაინც მონაწილეობდა მალულად გამართულ მატჩებში. ამისათვის იგი ოცდათვრამეტჯერ მოხვდა სატუსაღოში. ციხეში ტომსონზე იქაურმა ქრისტეს მსახურებმა მოახდინეს გავლენა და ოცდამეთვრამეტე პატიმრობის ვადის გასრულების შემდეგ იგი მღვდლად ეკურთხა.

ერთხელ ტომსონი საყდარში მისი მშობლიური ქალაქის მკვიდრთ უქადაგებდა ღვთისმოწყალეობაზე, იმის შესახებ, რომ ღმერთი ყველას მიუტევებს ცოდვებს. მთელი მრევლი სულგანაბული უსმენდა. უეცრად ეკლესიის სიმყუდროვე თავხედურმა ღრიანცელმა დაარღვია. ექვსი ჯანღონიანი, შეზარხოშებული მამაკაცი შეიჭრა ტაძარში. ისინი უხამსად იხსენიებდნენ ტომსონს და ხალხის წინაშე სახელს უტეხდნენ, სად გაგონილა ცოდვილი ადამიანებს მოძღვრავდესო. ტომსონმა ბევრი ითმინა, მერმე კი ხელები გულზე დაიჭდო, თვალები ცად აღაპყრო და ღმერთს შეჰღაღადა: არაერთი წელია შენს საქმეს ვმსახურებ, ახლა კი ნება დამრთე ორიოდ წუთით ჩემს საქმეს მივხედოო. ამ სიტყვებით იგი ჩამოიჭრა კათედრიდან და ელვის სისწრაფით თითო-თითო დარტყმით ზედიზედ „მიაწვინა" ექვსივე თავხედი. შემდეგ, ვითომც აქ არაფერიო, კათედრაზე დაბრუნდა და ქადაგება განაგრძო.



უილიამ ტომსონი.

ერთხანს ეყარნენ ასე, ძირს განართხმული ამრევნი. მერე კი, როცა გონს მოვიდნენ და რის ვაივაგლახით აითრიეს წელი, კრინტი აღარ დაუძრავთ, იდგნენ მორჩილად და უსმენდნენ შეგონებებს.

ეს იყო ყოფილი მოკრივის უკანასკნელი საბრძოლო შემართება.

ექვსი ნოკაუტით დაამთავრა თავისი საბრძოლო კარიერა ორმოცდაცხრა წლის უილიამ ტომსონმა, მეტსახელად ბენდიგომ, გამორჩეულმა დიდი სისხარტითა და მოქნილობით, რასაც ერთგვარად საჩინოს ჰყოფს მისი დგომის ძველთაძველი ჩანახატი.

ჩვენში ლიტერატურა ძველ კრივზე და ძველ მოკრივეთა სურათები არცთუ იოლი მოსაძიებელია, ამიტომაც ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი კრივის ქართველ მოყვარულსა და სპორტის ამ სახეობაში ღრმად გარკვეულ ადამიანს, სამართლისმცოდნე ვახტანგ მუსელიანს, ვინც სხვა ძვირფას მასალებთან ერთად გადმომცა კრივის ცნობილი სპეციალისტის, ჟურნალ „რინგის" დამაარსებლის, ნატ ფლეიშერის წიგნი, სადაც ინგლისის უძლეველი ჩემპიონის, ბაირონის ახლო მეგობრის, ჯონ ჯეკსონის, უძლიერესი მოკრივის (ასევე ბაირონის მეგობრის) ტომ კრიბის, ბრიტანეთის ჩემპიონის (შემდგომში ინგლისის პარლამენტის წევრის) ჯონ გალისა და სხვათა სურათებთან ერთად არის მოკრივე ღვთისმსახურის, უილიამ ტომსონის (ბენდიგოს) ეს უნიკალური სურათიც, რომელსაც ვურთავთ ამ წერილს.

**ედიშერ გიორგაძე.**

# ველოსიპედი - მოკლედ

**კოტბუსი.** „გდრ-ის დიდი პრიზი" საველოსიპედო სპრინტში, მსოფლიოს ჩემპიონმა ლუც ჰესლიჰმა მოიგო. ფინალში მან ორჯერ აჯობა მსოფლიოს ექსჩემპიონს მიჰაელ ჰიუბნერს. ქალთა შორის ამ სახეობაში პრიზს დაეუფლა 1988 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩემპიონი ციგურაობაში კრისტა როტენბურგერი.

**ნიუ-იორკი.** ველოსიპედისტთა პოპულარული შეჯიბრება „კურს კლასიკი" ვაჟთა შორის დევის ფინეიმ მოიგო, ქალებში — ინგა ბენედიქტმა.

**ლავე** (გფრ). აქ გაიმართა 23 წლამდე ათჰიდელთა სამატჩო შეხვედრა, რომელშიც ადგილობრივი მძლეოსნების გარდა, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. გამარჯვება გფრ-ის ნაკრებს დარჩა. საბჭოთა ათჰიდელები მეორე ადგილზე გავიდნენ.

**ირვინი** (აშშ). აქაურ მძლეოსანთა ოლიმპიადისწინა შეჯიბრებაში სტივ სკოტმა 3000 მ. 7.55,49-ში გაირბინა.

# კანადის არგენტინელი ჩემპიონი

**ოტავა.** კანადის ჩოგბურთელ ქალთა ჩემპიონატში უკვე მეცხრე წელია უცხოელ სპორტსმენებსაც იწვევენ, ამიტომ მან ღია ტურნირის სტატუსი მიიღო. წლევანდელ ასპარეზობაში შტეფი გრაფის (გფრ) გარდა მსოფლიოს ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი გამოდიოდა. როგორც ვიუწყებოდით, ამ ტურნირის ფინალში არგენტინელი გაბრიელა საბატინი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ნატალია ზვერევა გავიდნენ.

სპეციალისტები გადამწყვეტ შეხვედრაში მძაფრ და დაძაბულ ბრძოლას მოელოდნენ, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. 18 წლის საბატინიმ შედარებით ადვილად დაამარცხა მეტოქე 6:1, 6:2 და პირველად დაეუფლა ტურნირის მთავარ პრიზს.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 24 აგვისტო.** დილის ვარჯიში — **9.00 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) — **19.25 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 24 აგვისტო.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „ნეფთჩი" (ბაქო) — **20.00.**

**საქართველოს რადიო. 24 აგვისტო.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. „დინამო" (თბილისი) — „ნეფთჩი" (ბაქო) — **21.00;** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: პირველი ლიგა — **22.00.**

## „სპორტპროგნოზი"

**34-ე ტირაჟის შედეგები**

**(20-21 აგვისტო)**

1—X, 2—X, 3—X, 4—1, 5—2, 6—X, 7—X, 8—1, 9—X, 10—1, 11—1, 12—X, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1988-89 სასწავლო წლისათვის ფეხბურთის, აკადემიური ნიჩბოსნობის და ბაიდარა და კანოეს განყოფილებებზე.**

ფეხბურთში მისაღები გამოცდები 1975-76 წ.წ. დაბადებულ მოსწავლეთა შორის ჩატარდება სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში ამა წლის 10-11 სექტემბერს 12 საათზე. ნიჩბოსნობაში კი მისაღები გამოცდები 1973-74-75 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის ჩატარდება ბაზალეთის ტბაზე ამა წლის 10-11 სექტემბერს 12 საათზე.

გამოცდებისათვის მოსწავლე-სპორტსმენებმა თან უნდა იქონიონ სპორტული ფორმა, დაბადების მოწმობა, ჯანმრთელობის ცნობა ფორმა № 191, 063, საკლასიფიკაციო წიგნაკი, მშდ-ს წიგნაკი, ცნობა საშუალო სკოლიდან, თუ რომელ კლასში სწავლობს, 6 ცალი ფოტოსურათი (3X4).

მისამართი: ფეხბურთში გამოცდებისათვის — სამტრედიის რაიონი, სოფ. დიდი ჯიხაიში, პროფკავშირის მუშაკთა გადასამზადებელი კურსები. ნიჩბოსნობის გამოცდებისათვის — დუშეთის რაიონი, ბაზალეთის ტბა. ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. — 67-18-34, 67-53-95.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05518